ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 716

“27” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა № 7-ში, შენობა-ნაგებობა № 1-ში, მე-14 სართულზე მდებარე 392.52 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) შპს „აგროჰაბისთვის“ (საიდენტიფიკაციო № 404502098) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №7-ში, შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის“ (ს/ნ 404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 25 დეკემბრის №24.2243.2518 განკარგულებით გათვალისწინებული: ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა № 7-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.015.127) - შენობა-ნაგებობა № 1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392,52 კვ.მ. ფართის (ხსენებული მთავრობის განკარგულების დანართი № 1-ით წარმოდგენილი დაშტრიხული ნახაზის შესაბამისად) და ამავე ფართში განთავსებული მოძრავი ქონების (ხსენებული მთავრობის განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად წარმოდგენილი ინვენტარი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „აგროჰაბისთვის“ (საიდენტიფიკაციო №404502098) გადაცემაზე, კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს უძრავი და მოძრავი ქონების ჯამური საიჯარო ქირის წლიური საფასური - 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე